ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/94

თბილისი 13 დეკემბერი 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, ქ. თბილისის სსიპ №162 საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი", დირექტორის, სოფიო ფანცულაიას სახით, და მეორე მხრივ, ფ/პ: მერაბ ქორქიას (პ/ნ 02001020712) სახით შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი სახსრების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა)ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის შენობის დასრულების სამუშაოების (cpv კოდი: 45400000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული სამუშაო 2000 (ორიათასი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

საკლასო ოთახების სარემონტო სამუშაოები

სამუშაოს ღირებულება (დარიცხული)	საშემოსავლო გადასახადი	ხელზე ასაღები თანხა
1250	250	1000

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. სამუშაოს მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ.2

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ სამუშაოზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშაოს მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი" არაუგვიანეს 6 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს" მიწოდებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს .

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული სამუშაოს მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია, მიმწოდებლის საშემოსავლო გადასახადს იხდის შემსყიდველი.
7.2.2.უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო

ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის დირექტორი სოფიო ფანცულაია.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თბილისის სსიპ №162 საჯარო სკოლა	ფ/პ: მერაბ ქორქია
ს/ს „ლიბერთი ბანკი“	ს/ს "საქართველოს ბანკი"
ბ/კ: LBRTGE22 ა/ა: GE89LB0620080340816894 ს/კ: 211351829	ბ/კ: BAGAGE22 ა/ა: GE92BG0000000800590400 პ/ნ: 02001020712
დირექტორი *სოფიო ფანცულაია*	*ფ/პირი:* *მერაბ ქორქია*

მიღება-ჩაბარების
აქტი

თბილისი **16 დეკემბერი 2016წ.**

ერთის მხრივ, თბილისის „სსიპ №162 საჯარო სკოლა“ შემდგომში „შემსყიდველი“ დირექტორის სოფიო ფანცულაიას სახით და ფ/პ: ლევან ჯალილოვის (პ/ნ 02001020712) სახით „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ „შემსყიდველმა“ მიიღო, ხოლო „მიმწოდებელმა“ ჩააბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო (საკლასო ოთახის რემონტი).

ხელშეკრულების ღირებულება 1250 ლარი;

გასაცემი თანხა 1000 ლარი;

საშემოსავლო გადასახადი 250 ლარი;

სამუშაო მიიღო ***სამუშაო ჩააბარა***

უფლებამოსილი პირი *უფლებამოსილი პირი*

L.E.P.L. Tbilisi Public School № 162 211351829